# საქართველოს მთავრობის
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2743 2019 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის, მოვლის საშუალებების, ასევე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი ქალი მსჯავრდებულების 3 (სამი) წლამდე ბავშვების მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის, საკვები პროდუქტებისა და მოვლის საშუალებების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამისათვის – „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით

უზრუნველყოფა“ – გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში (პროგრამული კოდი: 26 02 02) მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლისა და მოვლის საშუალებების, ასევე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი ქალი ბავშვებულების 3 (სამი) წლამდე ასაკის ბავშვების მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის, საკვები პროდუქტებისა და მოვლის საშუალებების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 140 000 (ას ორმოცი ათასი) ლარის ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**